

ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N53 საცხოვრებელი სახლის  
N9 ბინის ¼ ნაწილზე, მოქალაქე ჯულიეტა სვანიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხუნდაძის ქუჩა N53/9 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ჯულიეტა სვანიძის განცხადებები /2014 წლის 26.02 Nს–1263, 21.03 Nს–1893/, რითაც ითხოვს საცხოვრებელი ბინის ¼ ნაწილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N53 საცხოვრებელი სახლის N9 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N53 საცხოვრებელი სახლის N9 ბინის ¼ ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჯულიეტა სვანიძეს /პირადი N60001065045/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ჯ.გოგრიჭიანი/, ქალაქ ქუთაისში, ხუნდაძის ქუჩა N53 საცხოვრებელი სახლის N9 ბინის ¼ ნაწილზე, საერთო ფართობი 55,27 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 32,05 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,22 კვ.მ./ მოქალაქე ჯულიეტა სვანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი